KA040144927450617

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ფაქსი.: (+995 32) 2 92 33 78; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge;
www.csb.gov.ge

№ g7729 **20 / ოქტომბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება საჯარო მმართველობის რეფორმა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს საჯარო სამსახურის რეფორმა. საჯარო სამსახურის სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ნაკლოვანებების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც 2017 წლის 1 ივლისს ამოქმედდა. ახალი კანონის ფარგლებში განხორციელდა კომპლექსური ცვლილებები, რომელიც განსხვავებულად აყალიბებს საჯარო სამსახურის სფეროს მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოს და ახლებურად წარმოადგენს საჯარო სამსახურის სისტემას.

რეფორმის ფარგლებში დიდი ყურადღება ეთმობა კორუფციის პრევენციის საკითხებს. ამ მიზნით, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, საჯარო სამსახურში ანგარიშვალდებულების გაზრდისა და ანტიკორუფციული მექანიზმების დახვეწისათვის. ასევე, „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილს N200 დადგენილებით, დამტკიცდა საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები.

რეფორმის ფარგლებში განხორციელებულ სიახლეებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისთვის, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო, „გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP)“ თანამშრომლობით, ახორციელებს პროექტს - „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენციის მექანიზმები“.

პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები მოიცავს „მოხელის პრაქტიკული სახელმძღვანელოს“, საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ გზამკვლევის და სახელმძღვანელოს შემუშავებას, ასევე, საჯარო მოხელეებისათვის ელექტრონული სწავლების ტრენინგ-მოდულის შექმნას საჯარო დაწესებულებებში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ.

ამასთანავე, პროექტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობად ითვალისწინებს სამინისტროებში დასაქმებული თანამდებობის პირებისთვის ტრენინგების ჩატარებას კანონის სიახლეებსა და კორუფციის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილ ტრენინგებზე დასწრების მიზნით, გთხოვთ, მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, გვაცნობოთ თქვენს უწყებაში დასაქმებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელი, გვარი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და თანამდებობის დასახელება, რომლებიც დაესწრებიან ტრენინგებს. გთხოვთ წარმოადგინოთ კანდიდატურები შემდეგი პრინციპით:

1 კანდიდატურა 2017 წლის 1-2 ნოემბერს დაგეგმილ ტრენინგზე დასასწრებად;
2 კანდიდატურა 2017 წლის 3-4 ნოემბერს დაგეგმილ ტრენინგზე დასასწრებად;
2 კანდიდატურა 2017 წლის 6-7 ნოემბერს დაგეგმილ ტრენინგზე დასასწრებად;
2 კანდიდატურა 2017 წლის 8-9 ნოემბერს დაგეგმილ ტრენინგზე დასასწრებად;

2 კანდიდატურა 2017 წლის 13-14 ნოემბერს დაგეგმილ ტრენინგზე დასასწრებად;
1 კანდიდატურა 2017 წლის 15-16 ნოემბერს დაგეგმილ ტრენინგზე დასასწრებად;
2 კანდიდატურა 2017 წლის 20-21 ნოემბერს დაგეგმილ ტრენინგზე დასასწრებად.

დასახელებული კანდიდატურებიდან ერთ-ერთი აუცილებელად უნდა წარმოადგენდეს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ხოლო სხვა მონაწილეები სასურველია შეირჩეს სამსახურებრივი უფლებამოსილებების გათვალისწინებით. ტრენინგზე სრულად დასწრების შემთხვევაში, მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატი.

ტრენინგი ჩატარდება სასტუმროში „მარკო პოლო“ (მის.: სტეფანწმინდის რაიონი, კურორტ გუდაურის ცენტრალური ნაწილი). მონაწილეთა გამგზავრება და უკან დაბრუნება უზრუნველყოფილი იქნება პროექტის ფარგლებში, ტრენინგის დაწყებისა და დასრულების დღეს. მონაწილეებს ეცნობებათ გამგზავრების დროისა და ადგილის შესახებ.

ტრენინგთან დაკავშირებით საკონტაქტო პირია სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელი ლიკა ჩაფიძე. ტელ: 2192727 (118); მობ: 593 500094; ელ - ფოსტა: lika.chapidze@gmail.com. გთხოვთ, ინფორმაცია მონაწილეთა სიის შესახებ მოგვაწოდოთ საკონტაქტო პირის ელექტრონულ ფოსტაზე.

ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თეიმურაზ ჩიხრაძე